



შპს „ჰუკ ჯორჯია“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება



სარჩევი

სრული შემოსავლების ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6



შპს ჰუკ ჯორჯია

სრული შემოსავლების ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

ნეტო ამონაგები		1,880,341
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(584,652)
საწყისი მარაგები		
მარაგების შესყიდვა	3	
საბოლოო მარაგები		
სხვა შემოსავალი		909,098
დასაქმებულთა ანაზღაურება	4	(394,265)
ცვეთა და ამორტიზაცია		(33,257)
საპროცენტო შემოსავალი:		8,687
საპროცენტო ხარჯი:	5	(26,611)
იჯარის ხარჯი	6	(8,160)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		
სულ საოპერაციო ხარჯები		455,492
საოპერაციო მოგება		1,751,181
<i>გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:</i>		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	7	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1,751,181
მოგება/(ზარალი)		1,751,181
<i>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</i>		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		1,751,181

შპს ჰუკ ჯორჯია


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2019-ის თარიღისთვის

შპს ჰუკ ჯორჯია ს/კ: 405223119			
ფინანსური მდგომარეობა		31-12-19	31-12-18
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		688,444	
გადახდილი ავანსები	8	3,115,969	1,520,705
მარაგები		4,103,733	1,113,717
სხვა	9	4,103,733	1,113,717
სხვა მიმდინარე აქტივები		1,347,851	502,589
ძირითადი საშუალებები	10	1,124,121	1,133,283
სულ აქტივები		10,380,118	4,270,294
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	11	7,552,001	982,119
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		5,463	
საგადასახადო ვალდებულებები		911,621	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	12	95,362	1,053,331
სხვა ვალდებულებები	13	359,358	2,529,712
სულ ვალდებულებები		8,923,805	4,565,162
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		1,112,012	
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		344,301	(294,868)
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		1,456,313	(294,868)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		10,380,118	4,270,294

შპს ჰუკ ჯორჯია

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		(294,868)
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		1,751,181
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1,456,313



შპს ჰუკ ჯორჯია

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჰუკ ჯორჯია“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 15/08/2017). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გაგარინის II შეს., N 6, ბ. 9.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ალუმინის ვიტრაჟების გაყიდვა-მოწყობა.

კომპანიის დირექტორი: ნატა ძამუნაშვილი (პ/ნ 01030017757)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20%
- არამატერიალური აქტივები - 15%
- იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 15% შენობის იჯარით გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.


სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.


ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.



დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება. გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.



		2019
მარაგების შესყიდვა	3	

კომპანია სამუშაოების წარმოებისათვის ადგილობრივ ან არაადგილობრივ ბაზარზე იძენს მარაგებს. წლის განმავლობაში შესყიდული მარაგები წარმოების პროცესში ემატება წარმოებას.

		2019
დასაქმებულთა ანაზღაურება	4	(394,265)

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროზე დაფუძნებული სისტემით, საქართველოს შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად. სახელფასო ხარჯები მოიცავს როგორც ფიქსირებულ ასევე საბონუსე ანაზღაურებებს.

		2019
საპროცენტო ხარჯი :	5	(26,611)

ბანკისგან მიღებულ სესხზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი, ბანკის მიერ მოწოდებული საპროცენტო განაკვეთის თანახმად.

		2019
იჯარის ხარჯი	6	(8,160)

სალიზინგო ხელშეკრულებით მიღებული მანქნა და მასზე დარიცხული საიჯარო ხარჯი.

		2019
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	7	

სავალუტო ოპერაციების გადაფასებიდან მიღებული სხვაობა მოგებასა და ზარალს შორის აღიარდება თვის ჭრილში სავალუტო ანგარიშების გადაფასების შედეგად.

		2019	2018
გადახდილი ავანსები	8		699,218

სამუშაოების პროცესში შესყიდულ მარაგზე და მომსახურებაზე გადახდილი ავანსები ადგილობრივ მომწოდებლებზე.

		2019	2018
სხვა	9		1,054,207

მომსახურების შესრულების პროცესში საჭირო საქონლისა და მარაგის ნაშთი პერიოდის ბოლოსთვის, აგრეთვე წარმოების პროცესზე აღრიცხული საქონლის ნაშთი.

		2019	2018
ძირითადი საშუალებები	10	1,124,121	1,133,283

ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები შემცირებული დაგროვილი ცვეთით და ნაჩვენებია საბალანსე ღირებულებით . კომპანიის ირიცხება უძრავი ქონება.

		2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	11	7,552,001	982,119

სავაჭრო ვალდებულებები წარმოშობილია ადგილობრივი მომწოდებლებისგან შესყიდული საქონელისა და მომსახურებებისგან.

		2019	2018
		95,362	1,053,331
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	13		

ადგილობრივი ბანკისგან ნასესხები თანხები ამერიკულ დოლარში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ასახულია ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსით ლართან მიმართებაში.

		2019	2018
		359,358	2,529,712
სხვა ვალდებულებები	13		

დამკვეთებისგან მიღებული საავანსო თანხები აღრიცხულია ბალანსში სხვა ვალდებულებების მუხლში.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2021 წლის 24 აპრილს.

